22.01.2015
იუსტიციის სამინისტრო

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის

მეათე შეხვედრის ოქმი

ოქმი მომზადებულია ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული კოორდინატორის, ქეთევან ცანავას მიერ

1. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები

- ინფორმაცია 2014 წელს გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროგრესის მონიტორინგის შესახებ
  ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო
- საქართველოს მონაწილეობა OGP-ისა და მსოფლიო ბანკის „ვებინარში“ მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შესახებ
  ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო
- ვალდებულებების შესრულების პროგრესი:
  - სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო - საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალე და მიუკერძოებელი წესების შემუშავება; დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნა; საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება
  - სახელმწიფო აუდიტის სამსახური - პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნება დამუშავებად ფორმატში
- OGP კომუნიკაციის სტრატეგია - იდეების განხილვა

2. ინფორმაცია 2014 წელს გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროგრესის მონიტორინგის შესახებ

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ ფორუმს მიაწოდა ინფორმაცია ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) მიხედვით 2014 წელს შესასრულებელი ვალდებულებების შესრულების პროგრესის მონიტორინგის შესახებ.

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს (შემდგომში - სამდივნო) მიერ შემუშავებული და ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის (შემდგომში - ფორუმი) მიერ მიღებული მონიტორინგის

ჩარჩო სამოქმედო გეგმის პასუხისმგებელ უწყებებს 2014 წლის ბოლოს დაეგზავნათ. უწყებებს ეთხოვათ ვალდებულებათა შესრულების პროგრესის შეფასება 2014 წლის დეკემბრის დასასრულის მდგომარეობით. 2015 წლის 22 იანვრის მდგომარეობით, უწყებათა უმეტესობას სამდივნოსთვის მიწოდებული აქვს შევსებული მონიტორინგის ჩარჩო.

სამდივნოს წარმომადგენლებმა მიმოიხილეს საერთო ტიპის კითხები/ხარვეზები, რომლებიც მონიტორინგის ჩარჩოზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა. სამდივნომ რიგი საკითხები პასუხისმგებელ უწყებებთან ინდივიდუალური შეხვედრების ფარგლებში, ნაწილი კი, წერილობითი სახით კომენტარების გაცვლის საშუალებით განიხილა. სიახლეების მიწოდების შემდგომ სამდივნომ კიდევ ერთხელ დეტალურად განმარტა მონიტორინგის ჩარჩოს თითოეული კომპონენტი და აღნიშნულის შევსების პრინციპები.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც სამდივნო მიიღებს მონიტორინგის ჩარჩოს ყველა პასუხისმგებელი უწყებისგან და აღნიშნულს დაამუშავებს, ჩარჩო კომენტარებისა და შეფასებისთვის ეგზავნება ფორუმის წევრ არასამთავრობო ორგანიზაციებს. სამდივნოს გეგმაა ეს პროცესი თებერვლის ბოლოსთვის დასრულდეს და ფორუმის მე-11 სხდომაზე წარდგენილ იქნეს შემაჯამებელი პრეზენტაცია 2014 წლის ვალდებულებების შესრულების პროგრესის შეფასების შესახებ.

ფორუმის მომხსენებელმა, ბ-ნმა გიორგი კლდიაშვილმა პასუხისმგებელ უწყებებს შესთავაზა ვალდებულების ან მისი ცალკეული ეტაპის შესრულების შესახებ რეგულარულად აცნობონ სამდივნოსა და ფორუმის წევრ სამოქალაქო საზოგადოებას, რომ შესაძლებელი იყოს პროგრესის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

3. საქართველოს მონაწილეობა OGP-ის და მსოფლიო ბანკის „ვებინარში“ მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შესახებ

2015 წლის 22 იანვარს OGP-ის და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით იმართება „ვებინარი“ მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შესახებ. ორგანიზატორთა თხოვნით, „ვებინარში“ საქართველოც მონაწილეობს. „ვებინარზე“ წარდგენილი იქნება სსიპ - იუსტიციის სახლის მიერ შემუშავებული სისტემა - „მომხმარებლის ხმა“, რომელიც OGP-ის ქვეყნების მიერ მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით აღებულ ვალდებულებათა შორის ერთ-ერთ საინტერესო ინიციატივად გამოიკვეთა. სამდივნომ იმედი გამოთქვა, რომ საქართველო კიდევ არაერთხელ ჩაერთვება გამოცდილების გაზიარების სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში. ერთ-ერთი ასეთი შესაძლოა ეხებოდეს სამოქმედო გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების მიმართულებას.

4. ვალდებულებების შესრულების პროგრესი:

ვალდებულების შესრულების პროგრესის შესახებ ფორუმს ანგარიში წარუდგინეს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ (შემდგომში - ბიურო) და სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა.

ბიუროს წარმომადგენელმა, ქ-ნმა მაია დვალიშვილმა, ისაუბრა სამი ვალდებულების შესახებ: საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალე და მიუკერძოებელი წესების შემუშავება; საქართველოში თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნა; საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება.

ბიუროს მიერ მომზადდა და 2014 წლის 18 ივნისს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის №412 დადგენილება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", რომელმაც ნათლად განსაზღვრა კონკურსის მონაწილეთა უფლებები. გარდა ამისა, დასაქმების ელექტრონულ პორტალს (www.hr.gov.ge) დაემატა ახალი ფუნქციები: მაგალითად, მოქალაქეს შეუძლია რეზიუმეს რედაქტირება, საჯარო გახდა ვაკანსიაზე გაკეთებული განაცხადების რაოდენობა. საჯარო უწყებებს დაეკისრათ ვალდებულება საკონკურსო კომისიის წევრთა შემადგენლობაში იყვნენ დამოუკიდებელი სპეციალისტები, რომლებიც სამსახურებრივად არ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი იმ დაწესებულებასთან, რომელიც აცხადებს კონკურს და აყალიბებს შესაბამის კომისიას. დადგენილებით გაიზარდა ბიუროს როლი კონკურსების ჩატარების პროცესში. ვაკანსიის ოფიციალურად გამოცხადებისა და შესაბამისი ვებ-გვერდის ადმინისტრირების გარდა, ბიუროს აქვს შესაძლებლობა, ვაკანსიის გამოცხადებამდე, 3 დღის ვადაში, შეამოწმოს გამოსაცხადებელი ვაკანტური თანამდებობისათვის დადგენილი საკონკურსო მოთხოვნების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

რაც შეეხება დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნას, ბიუროს წარმომადგენლის ცნობით, საერთაშორისო ექსპერტის მიერ მომზადდა რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზე ბიურომ შეიმუშავა წინადადებები საჭირო ცვლილებების შესახებ და აღნიშნული განიხილა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში (სამუშაო ჯგუფი ზაფხულში, დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შემუშავებასთან დაკავშირებით შეიქმნა). 2015 წლის 4 თებერვალს დაგეგმილია საჯარო სამსახურის ბიუროს ხედვის წარდგენა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში - ანტიკორუფციული საბჭო) და შემდეგ მთავრობის სხდომაზე. ქ-ნმა მაიამ აღნიშნა, რომ სამუშაო ჯგუფისთვის რთული აღმოჩნდა შეჯერება მონიტორინგის ერთ მოდელზე. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საკითხი მონიტორინგისას უნდა არსებობდეს თუ არა წვდომა თანამდებობის პირის საბანკო ინფორმაციაზე, ვინაიდან ექსპერტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ასეთი წვდომის გარეშე შეუძლებელია სრულყოფილი მონიტორინგის წარმოება.

ბიუროს მიერ აღებული კიდევ ერთი ვალდებულებაა საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება. ბიუროს წარმომადგენლის ცნობით, ბიურო სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად მუშაობს საქართველოში არსებული ადამიანური რესურსების ელექტრონულ პროგრამებს შორის მონაცემების დაკავშირებისა და ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფის შესაბამისი პროგრამის შემუშავებაზე. ქ-ნმა მაიამ აღნიშნა, რომ ეს საკმაოდ რთული პროცესია. 2014 წლის ნოემბერში ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა დაინერგა ბიუროში; დღევანდელი მდგომარეობით, სისტემა ასევე დანერგილია 34 საბიუჯეტო საჯარო უწყებაში, მათ შორის ორ ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში. ფორუმის ერთ-ერთმა წევრმა დასვა კითხვა არის თუ არა სისტემაში ინტეგრირებული თანამშრომელთა შეფასების მოდული. ქ-ნმა მაიამ განმარტა, რომ ამ ეტაპზე

სისტემას არ აქვს თანამშრომელთა შეფასების მექანიზმი, თუმცა მიმდინარეობს ამ მიმართულებით მუშაობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენელმა, ბ-ნმა ზურაბ აზნაურაშვილმა, ფორუმს წარუდგინა პრეზენტაცია პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშების დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. ბ-ნმა ზურაბმა აღნიშნა, რომ ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის მომზადდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებ-გვერდი (www.sao.ge); 2014 წლის მაისიდან დაიწყო საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი დეკლარაციებისა და შემოწირულობების განთავსება დამუშავებად ფორმატში, დამუშავებად ფორმატშია წარმოდგენილი ასევე პოლიტიკური გაერთინებების წლიური დეკლარაციები; მნიშვნელოვანია, რომ 2014 წლის აგვისტოში გამოქვეყნდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შუალედური ანგარიში, რომელშიც აღნიშნული იყო შემოსავლებისა და ხარჯების სტატისტიკები. აუდიტის სამსახურის წარმომადგენლის ცნობით, საარჩევნო პერიოდის ჯამური ინფორმაცია გამოქვეყნდება საიტზე ყველა მიმდინარე მოკვლევისა და სასამართლო პროცესის დასრულების შემდგომ. საიტზე ასევე გამოქვეყნდება 2014 წლის წლიური სტატისტიკა.

5 . OGP კომუნიკაციის სტრატეგია - იდეების განხილვა

ფორუმმა განიხილა ღია მმართველობა საქართველოს კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავების იდეა. გამოითქვა მოსაზრება, რომ პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია სამიზნე ჯგუფებისა და საკომუნიკაციო თემატიკის განსაზღვრა. ფორუმის წევრებმა აღნიშნეს, რომ სასურველია საჯარო უწყებების შიგნით ღია მმართველობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე ყურადღების გამახვილება. გამოითქვა იდეა, გარკვეული პერიოდულობით მომზადდეს სიახლეები (შესაძლოა ეს იყოს ელ. გაზეთის ტიპის) ღია მმართველობა საქართველოს მიმდინარე პროცესების შესახებ და დაეგზავნოთ საჯარო უწყებებს, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს და სხვებს. ფორუმის აზრით, მნიშვნელოვანია სტუდენტები განისაზღვრონ კომუნიკაციის სტრატეგიის ფარგლებში ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფად; ფორუმის წევრთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ სკოლის მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებაც მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ფორუმი შეთანხმდა შემდეგზე: სამდივნო, ფორუმის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელ მომხსენებელთან და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ერთად შეიმუშავებს კომუნიკაციის სტრატეგიის პირველად ვერსიას და განსახილველად წარუდგენს ფორუმს. სამდივნომ აღნიშნა, რომ დაინტერესების შემთხვევაში, ფორუმის ნებისმიერ წევრს შეუძლია შეუერთდეს ვიწრო სამუშაო ჯგუფს.

6. ფორუმი შეთანხმდა შემდეგზე:

- სამდივნო დაამუშავებს მონიტორინგის ჩარჩოს და აღნიშნულს კომენტარებისა და შეფასებისთვის გაუგზავნის ფორუმის წევრ არასამთავრობო ორგანიზაციებს;
- ფორუმის მომდევნო შეხვედრაზე სამდივნო 2014 წლის ვალდებულებების შესრულების ანგარიშს წარადგენს;

- სამდივნო, ფორუმის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელ მომხსენებელთან და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ერთად შეიმუშავებს კომუნიკაციის სტრატეგიის პირველად ვერსიას და განსახილველად წარუდგენს ფორუმს;

ფორუმის მორიგი სამუშაო შეხვედრა 2015 წლის 20 მარტს გაიმართება.

7. ფორუმის შეხვედრას ესწრებოდნენ

იუსტიციის სამინისტრო	ზურაბ სანიკიძე, ქეთი ცანავა, დეა ცარციძე, ირმა ლოხიშვილი
სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	ნანა წიკლაური
სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო	ნიკოლოზ გაგნიძე
სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	მაია დვალიშვილი
სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	მანანა შურღულაია
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	პავლე ოკუჯავა
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ლიკა ბადუაშვილი; ნატა მოკვერაშვილი
სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	სანდრო ხუსკივაძე
უზენაესი სასამართლო	ლია მჭედლიშვილი
სსიპ - შსს აკადემია	დავით ალავერდაშვილი
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	საბა ბუაძე
სახელმწიფო აუდიტის სამსახური	ზურაბ აზნაურაშვილი
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	სულხან სალაძე
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)	გიორგი კლდიაშვილი, ნატა ძველიშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ამალია ოგანჯანიანი